




AGIC

სპორტული-გასართობი კომპანიების ინდუსტრიის კვლევა საქართველოში

მომზადებულია 2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით



2022 წელი



შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 10 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 11 - ფინანსური კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება სპორტული-გასართობი კომპანიების ინდუსტრიის მიმოხილვას, არსებული ტენდენციების გამოვლენას, ზომითი კატეგორიების მიხედვით, კომპანიების 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული სპორტულ გასართობი კომპანიები ეკუთვნის, მეორე და მესამე ზომით კატეგორიას.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2020 წლის მონაცემებს, კვლევაში განხილული იქნება სპორტულ-გასართობ ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიები, რომელთა რაოდენობაც ჯამურად შეადგენს 22-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია დარგის მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი კომპანიების რაოდენობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე, მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და ანგარიშგების პორტალიდან.





კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს სპორტული-გასართობი ინდუსტრიის დარგში არსებულ კომპანიებს, რომელთა ჯამური ბრუნვა 2020 წელს აღემატება 27 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი კი 375 მილიონ ლარს.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, გადახდის უნარიანობის შესახებ და მომგებიანობის შესახებ.





კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა სპორტულ-გასართობი კომპანიების 2020 წლის საშუალო მონაცემები. მოცემული 22 კომპანიდან 3 მიეკუთვნება მეორე კატეგორიას, 18 მეორე კატეგორიას, და 1 სდპ.


ათასი,ლარი

საშუალო რეალიზაცია




ათასი,ლარი

საშუალო მთლიანი აქტივები



ათასი,ლარი

საშუალო მოგება/ზარალი დაბეგვრამდე






სპორტული-გასართობი კომპანიების ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოში სპორტული-გასართობი საქმიანობით დაკავებული კომპანიების ბრუნვის მოცულობამ 2020 წელს 72.7 მლნ.ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით 21.6 მლნ ლარით ნაკლებია, რაც არსებულმა პანდემიურმა სიტუაციამ და დაწესებულმა შეზღუდვებმა განაპირობა. მოსალოდნელი და რეალისტურია, რომ კრიზისული სიტუაციის დაძლევის შემდგომ საქართველოში აღნიშნული ინდუსტრია პერსპექტიულად განაგრძობს ზრდას, ეკონომიკის ძველ ნიშნულებთან დაბრუნების პარალელურად. მნიშვნელოვანია ეტაპობრივად, სპორტული-გასართობმა კომპანიებმა განახორციელონ საჭირო ცვლილებები და დაწერონ შესაბამისი სტანდარტები, რაც შეესაბამება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებულს, რათა დარგი გახდეს კიდევ უფრო მიმზიდველი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სპორტული და გასართობი კომპანიების ბრუნვის მოცულობა ჯამურად ასე გამოიყურება:

მლნ.ლარი


სპორტული-გასართობი კომპანიების ბრუნვის მოცულობა



წყარო:geostat.ge

ათასი კაცი

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა



წყარო:geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს სპორტული და გასართობი საქმიანობით დაკავებულ კომპანიებში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა მზარდია 2018 წლის ჩათვლით, ხოლო 2020 წელს შედარებით შემცირდა და შეადგინა 6.3 ათასი კაცი.


სპორტული-გასართობი კომპანიების ინდუსტრიის მიმოხილვა



საქართველოში სპორტული-გასართობი საქმიანობით დაკავებულ კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2022 წლის პირველ კვარტალში 64,509 კაცი შეადგინა. წინა წლების მონაცემები ასე გამოიყურება:

ათასი კაცი

დაქირავებულთა საშუალო რაოდენობა




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2018 წლის ჩათვლით სპორტული-გასართობი საქმიანობით დაკავებულ კომპანიებში დაქირავებულთა საშუალო რაოდენობა მზარდი იყო, 2019 წელს იგივე რაოდენობა ფიქსირდება, ხოლო 2020 წელს 0.1 ათასი კაცით შემცირდა. რაც შეეხება აღნიშნულ კომპანიებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემდეგია:

ლარი

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ზემოთ აღნიშნულ კომპანიებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის მაქსიმალური ანაზღაურება დაფიქსირდა 2017 წელს, ხოლო მინიმალური 2020 წელს.




ბაზრის ძირითადი მოთამაშეები (2020 წ)

ათასი, ლარი


ტოპ 5 კომპანია შემოსავლების მიხედვით (2020)

აღნიშნული კომპანიების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს კვლევაში წარმოდგენილი კომპანიების მთლიანი შემოსავლების 52%-ს.




ტოპ 5 კომპანია აქტივების მიხედვით, (2020წ)

ათასი, ლარი



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 კომპანია (2020წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2020 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები


კვლევის შედეგად გამოვლინდა სპორტული-გასართობი კომპანიების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 4.24 და 0.95, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

საქართველოში მოქმედი სპორტულ-გასართობი კომპანიების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მარჟის კოეფიციენტი შეადგენს 68% წლიური მოგება აქტივებზე შეადგენს (ROA) 2%-ს.

სპორტული-გასართობი კომპანიები






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2020წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. სპორტულ გასართობი კომპანიებისათვის უტოლდება 1.54-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 0.76-ს. ეს მაჩვენებელი მიუთითებს თუ რამდენად აღემატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.


გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები 2020



ეფექტურობის კოეფიციენტები

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 1.75-ს, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში, დებიტორული დავალიანების კოეფიციენტმა კი შეადგინა 11,4.

ეფექტურობის კოეფიციენტები , 2020



AGIC

რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 50-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 105-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

